# საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსი

## სავალდებულო სასწავლო დავალებათა ნუსხა

ქცევის ანალიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაცია

**Translators**
**Madonna Bonny, MS, BCBA, LBA, IBA**
მადონა ბონი
**Tamar Sekhniashvili, MA, BCBA, IBA**
თამარ სეხნიაშვილი
**Gvantsa Chvamania MA, IBA**
გვანცა ჩვამანია

IBAO
International Behavior Analysis Organization
Ethics, Education, Confidence

## 30 ქცევის ანალიტიკოსი

იმისათვის, რომ დაედგინათ ყველაზე მნიშვნელოვანი უნარები რომელსაც ქცევის ანალიტიკოსი უნდა ფლობდეს პრაქტიკის დაწყებამდე,  ოცდაათმა ქცევის ანალიტიკოსმა სამუშაო უნართა ანალიზი ჩაატარა.

## 22 ქვეყანა

სამუშაო უნართა ანალიზის პროცესში მსოფლიოს სხვადასხვა ქცევის 22 ქცევის ანალიტიკოსი მონაწილეობდა.

## 4 თვე

სავალდებულო სასწავლო დავალებათა ნუსხის შემუშავებას 4 თვე დასჭირდა.

# საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსის სასწავლო დავალებათა ნუსხა

## ნაწილი 1 ძირითადი ცნებები

1.1 განმარტე და მოიყვანე ავტომატური განმტკიცების ცნების მაგალითი
1.2 განმარტე და მოიყვანე ოპერანტული ქცევის მაგალითი
1.3 განმარტე აღმძვრელი მოტივაციური ოპერაციების სახეები და მათი გამოყენების გზები
1.4 განმარტე აღმკვეთი მოტივაციური ოპერაციების სახეები და მათი გამოყენების გზები
1.5 განმარტე ჩაქრობის სახეები და მათი გამოყენების გზები
1.6 განმარტე და განასხვავე ერთმანეთისგან სტიმულთა ჯგუფები
1.7 განმარტე ოპერანტული განპირობებულობა
1.8 განმარტე კლასიკური/რესპოდენტული განპირობებულობა
1.9 განმარტე განმტკიცების განრიგის სხვადასხვა სახეები და მასთან დაკავშირებული ქცევითი მახასითებლები
1.10 განმარტე და გამოიყენე დადებითი განმტკიცების პრინციპები ქცევის გაზრდისთვის
1.11 განმარტე და გამოიყენე უარყოფითი განმტკიცების პრინციპები ქცევის გაზრდისთვის
1.12 განმარტე და გამოიყენე დადებითი დასჯის პრინციპები ქცევის შემცირებისთვის
1.13 განმარტე და გამოიყენე უარყოფითი დასჯის პრინციპები ქცევის შემცირებისთვის
1.14 განმარტე განმტკიცების სხვადასხვა სახეები და ახსენი მათი უპირატესობები
1.15 განმარტე სტიმულის კონტროლის ცნება, ახსენი სტიმულის კონტროლის გავლენა ქცევის შეძენასა და შემცირებაზე
1.16 განმარტე სტიმულის დისკრიმინაციის ჩამოყალიბების და სწავლების გზები
1.17 განმარტე სტიმულის გენერალიზების ჩამოყალიბების და სწავლების გზები
1.18 განმარტე ვერბალური ქცევის ცნებათა სისტემა და აღწერე ვერბალური ქცევის სხვადასხვა ვერბალური ოპერანტები

## ნაწილი 2 ქცევის ჩაწერა და გაზომვა

2.1 განსაზღვრე ქცევა (დეფინიცია)
2.2 შეაფასე პერმანენტული პროდუქტი, როგორც მონაცემთა შეგროვების ერთ ერთი საშუალება
2.3 შეაგროვე მონაცემი სიხშირის ჩანაწერის გამოყენებით
2.4 შეაგროვე მონაცემი საშუალო სიხშირის გამოყენებით
2.5 შეაგროვე მონაცემი სრული და არასრული ინტერვალის ჩანაწერის გამოყენებით
2.6 შეაგროვე მონაცემი დროის მომენტალური ნიმუშის გამოყენებით

# საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსის სასწავლო დავალებათა ნუსხა

## ნაწილი 2 ქცევის ჩაწერა და გაზომვა

2.7 ახსენი რატომ არის აუცილებელი ქცევის  სიზუსტით აღწერა დაკვირვების განხორციელებისას
2.8 შეაგროვე  პროცენტული მონაცემები სიზუსტის დაცვით
2.9 განმარტე შესაფერისი საზომი სისტემების შერჩევის პროცესის მნიშვნელოვნება და სპეციფიკა
2.10 შეაგროვე ცალკეული სინჯების მონაცემები
2.11 შეაგროვე პირველადი სინჯის მონაცემი (Cold Probe)

## ნაწილი 3 ცალკეული შემთხვევის დიზაინი

3.1 გამოიყენე რევერსიული/ჩარევის შეწყვეტის დიზაინი
3.2 გამოიყენე მრავალ ემენტიანი/ჩარევის მონაცვლეობითი დიზაინი
3.3 გამოიყენე მრავლობითი საფუძვლის დიზაინი
3.4 ფაზებს შორის ცვლილებების შედარებისას მონაცემთა ზუსტი ინტრპრეტირება და მიღებული მონაცემების მიხედვით საუკეთესო გადაწყვეტილების მიღება
3.5 განმარტე დამოკიდებული ცვლადი და მისი გამოყენების გზები
3.6 განმარტე დამოუკიდებელი ცვლადი და მისი გამოყენების გზები
3.7 განმარტე  ფუნქციური ურთიერთობის მახასიათებლები

## ნაწილი 4 ქცევის შეფასება

4.1 განმარტე ქცევის ფბუნქციები
4.2 განმარტე დაკვირვების წარმოების ტექნიკები, აღწერე როგორ და როდის გამოიყენება დაკვირვება
4.3 აღწერე კორელაციასა და მიზეზ-შედეგობრიობას შორის განხვავება, განმარტე თითოეულის გამოყენება ქცევის შეფასების პროცესში
4.4 ჩაატარე პრობლემური ქცევის ფუნქციური ანალიზი
4.5 ჩაატარე შეფასება განვითარებისა და ენის ინსტრუმენტის მეშვეობთ (ABLLS and VB-MAPP)
4.6 ჩაატარე ფუნქციურუ უნართა შეფასება (e.g., AFLS)

## ნაწილი 5 ქცევითი ინტერვენციის განხორციელება

5.1 შეცვალე ქცევის ტოპოგრაფია ფორმირების გამოყენებით
5.2 ასწავლე კომპლექსური ქცევა პირდაპირი ჯაჭვის გამოყენებით
5.3 ასწავლე კომპლექსური ქცევა პირუკუ ჯაჭვის გამოყენებით
5.4 გამოიყენე ქცევის მომენტუმი და გაზარდე ინსტრუქციების შესრულება
5.5 გამოიყენე სხვა ქცევის დიფერენციალური განმტკიცება ქცევის შემცირების მიზნით
5.6 გამოიყენე ალტერნატიული ქცევის დიფერენციალური განმტკიცება ქცევის შემცირების მიზნით
5.7 გამოიყენე არათავსებადი ქცევის დიფერენციალური განმტკიცება ქცევის შემცირების მიზნით
5.8 გამოიყენე ფუნქციური კომუნიკაციის ტრენინგი, რომლის მეშვეობითაც გაზრდი სოციალურიად მისაღები ფორმით მოთხოვნას და შეამცირებ პრობლემურ ქცევას
5.9 განმარტე, დაგეგმე და გამოიყენე სხვადასხვა განმამტკიცებლის განრიგი
5.10 გამოიყენე ჟეტონების პრინციპი ქცევის განმტკიცებისთვის
5.11 გამოიყენე ვიდეო მოდელირება სოციალურად მისაღები ქცევის სასწავლებლად
5.12 გამოიყენე ჩაქრობის პროცედურა, რომელსაც შეარჩევ ქცევის ფუნქციის შესაბამისად და შეამცირებ ქცევას
5.13 გამოიყენე წინაპირობის მოდიფიკაცია ქცევის გაზრდისა და შემცირების მიზნით
5.14 გამოიყენე განუპირობებელი განმტკიცება ქცევის შემცირების მიზნით
5.15 გამოიყენე დასჯის სტრატეგიები ქცევის შემცირების მიზნით

# საერთაშორისო ქცევის ანალიტიკოსის სასწავლო დავალებათა ნუსხა

## ნაწილი 6 სწავლების მეთოდები

6.1 ასწავლე ცალკეული სინჯების გამოყენებით
6.2 ასწავლე ბუნებრივი  სწავლებით
6.3 ასწავლე ქცევითი უნარების ტრეინინგით
6.4 ასწავლე საბაზისო რეაქციათა ტრენინგის მეშვეობით (Pivotal Response Training)
6.5 გამოიყენე დისკრიმინაციის ტრენინგი
6.6 ასწავლე სტიმულის ეკვივალენტობა მრავალფეროვან სტიმულებზე
6.7 გამოიყენე ვერბალური ქცევა სამეტყველო და ენობრივი უნარების გასაზრდელად
6.8 გამოიყენე დახმარება და დახმარების გამოხშირვა
6.9 ასწავლე უშეცდომო სწავლებით
6.10 გამოიყენე ჯგუფური სტრატეგიები ქცევის შემცირებისა და გაზრდის მიზნით
6.11 ხელი შეუწყვე დასწავლილ უნართა განერალიზაციას
6.12 ხელი შეუწყვე დასწავლილი უნარის შენარჩუნებას ბუნებრივ გარემოში
6.13 გამოიყენე მონაცემთა ანალიზი და ისე მიირე გადაწყვეტილება ქცევის შეცვლის შესახებ
6.14 გამოიყენე მონაცემები ინტერვენციის დაგეგმვაში, შეცვლასა და მოდიფიკაციაში
6.15 განაზღვრე როდის გამოხშირო  ინტერვენცია

## ნაწილი 7 ეთიკა

7.1 ქცევის ანალიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის ეთიკის კოდექსის ცოდნა
7.2 ქცევის ანალიტიკოსთა საერთაშორისო ორგანიზაციის ეთიკური პრობლემების გადაჭრის მოდელის ცოდნა